დაწესებულებაში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის №04-03 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება: №04-10, 20.01.2022) „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი". წესის თანახმად, კოლეჯში გამოიყოფა სამი ტიპის სასწავლო გარემო: A - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისთვის; B - კომპიუტერული ლაბორატორია; C - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობაში ან გარე სივრცე, სპეციალობის დემონსტრირებისა და პრაქტიკისთვის აუცილებელი ტექნიკითა და ინვენტარით. აღნიშნული წესის თანახმად, კონკრეტულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: A და B გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობა; C გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობა ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა; პროგრამის ხანგრძლივობა; საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი; მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა; სწავლების ფორმა და პროგრამის განხორციელების მიდგომა. ამავე, წესის თანახმად, თითოეულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯში შექმნილი პროგრამის შემუშავების ჯგუფი და დაურთავს დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამის პროექტს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთების (დანართი N2) თანახმად, პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობისთვის" ზღვრული რაოდენობა გაანგარიშებულია შემდეგი რესურსების საფუძველზე: A-C სასწავლო გარემო, B გარემო - კომპიუტერულ ლაბორატორია, 1 პარტნიორი კომპანიის მემორანდუმი პრაქტიკული სწავლებისთვის; 23 პროფესიულ მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება; მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა გათვლილია 15 სტუდენტზე ჯგუფში (ჯამურად 30 სტუდენტზე). აღნიშნული რესურსების საფუძველზე დაწესებულებამ განსაზღვრა ზღვრული რაოდენობა 30 პროფესიული სტუდენტი.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დანართი N6 „მატერიალური რესურსი", რომელშიც მოდულების მიხედვით (ნიადაგური საფარის მართვა, ვაზის ინტეგრირებული დაცვა, საწარმოს მართვა, ვენახის გაშენება და მსხმოიარე ვაზის მოვლა, ვაზის ბალანსირებული კვება, ვაზის ნამყენი ნერგის წარმოება, ვენახისა და მარნის ტექნიკისა და ინვენტარის ექსპლუატაცია და სხვ.) დეტალურადაა გაწერილი თითოეული სასწავლო გარემოსთვის (A, B, C) საჭირო ინვენტარი, აღჭურვილობა და მასალა-ნედლეული. A გარემოსთვის სტანდარტულად გათვალისწინებულია სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო ადგილი, კომპიუტერი, დაფა, პროექტორი, აუდიო აღჭურვილობა; B გარემოსთვის ზღვრული ოდენობის შესაბამისი კომპიუტერი, მაგიდა სკმაი სტუდენტის და მასწავლებლის). C გარემოსთვის მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე - სპეციალიზებული ტექნიკა და ინვენტარი (ტრაქტორი, კულტივატორი, ფრეზი, გუთანი, საწამლი აპარატურა, სამყნობი დანადგარი, ნამყენის პარაფინირების დანადგარი, წყლის რეზერვუარები და სხვ.), ასევე შესაბამისი მასალა-ნედლეული (სპეცტანსაცმელი, დამცავი აღჭურვილობა, საძირე და სანამყენე მასალა, პარაფინი და სხვ.).დანართში მოცემული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსების ნუსხა კონკრეტულ მოდულებთან პირდაპირ არის დაკავშირებული და, პროგრამის დოკუმენტში მითითებული სახით, მოიცავს ყველა იმ კომპონენტს, რაც შესაბამისი სწავლის შედეგების პრაქტიკული ათვისებისთვისაა საჭირო.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული არჩევითი მოდული, შესაბამისად, პროგრამის შინაარსი სრულად ეფუძნება სავალდებულო სასწავლო კომპონენტებს.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

კოლეჯის პროგრამის შემუშავების წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების საკითხზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი, რომელიც წარმოადგენს ამ საკითხზე უფლებამოსილ პირს. კოლეჯის დირექტორის მიერ 2026 წლის 4 ივნისის ბრანებით N 04-88 -ით დამტკიცებულია, სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის" დირექტორის 2016 წლის 07 სექტემბრის №04-46 ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „მევენახეობა და მეღვინეობა", ცვლილება და პროგრამის განახლებული რედაქცია.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „მევენახეობა და მეღვინეობა“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, დასაქმების სფეროებთან და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის დოკუმენტით განსაზღვრული სწავლის შედეგები შინაარსობრივად შეესაბამება მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროსათვის აუცილებელ პროფესიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარებსა და კომპეტენციებს.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.7. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „მევენახეობა-მეღვინეობა"-ს საფუძველზე, სარეგისტრაციო ნომრით 08.4.1. პროგრამის ძირითად დოკუმენტში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგები, შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, პროგრამის მოცულობა, ხანგრძლივობა, დასაქმების შესაძლებლობები და სხვა აუცილებელი პროგრამული მახასიათებლები.

ამასთან, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ზოგად და პროფესიულ მოდულებს, სასწავლო გეგმას როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაციას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.8. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N04126 30.07.2020, ბოლო ცვლილება - N04-38; 09.03.2022.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფორმის ცვლილების დასაბუთება - დაწესებულების დირექტორის წერილი ხარისხის ცნეტრს N671675; 04.06.2026.
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - დამტკიცებულია 2019 წლის 11 იანვრის №04-03; ბოლო ცვლილება: №04-10, 20.01.2022.
- მევენახეობა და მეღვინეობის პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა. N04-88; 03.06.2026
- პროგრამის შემუშავების წესი -დამტკიცებულია 2019 წლის 13.12. ბრძ. N04111; ბოლო ცვლილება 16.07.2025; N04-95
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი; N04-88; 03.06.2026
- აპლიკანტთა შერჩევის და ჩარიცხვის წესი დამტკიცებულია N04-69, 12.07.2021, ბოლო ცვლილება N04-109, 03.07.2026
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა" უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსით, რომელიც შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან. შესაბამისი დოკუმენტებით პროგრამისთვის იდენტიფიცირებულია სასწავლო გარემოები და რესურსები, მათ შორის A, B და C გარემო, აგრეთვე პროგრამის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, აგროტექნიკური და მარნის ინვენტარი, დამცავი და სახარჯი მასალები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში მოხდა დაწესებულების მიერ დასაბუთებაში მითითებული რესურსების ფაქტობრივი არსებობის, მათი ტევადობისა და დეკლარირებულ მონაცემებთან შესაბამისობის შესწავლა ადგილზე. ვიზიტის შედეგად დგინდება შემდეგი:

სწავლებისათვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს: A სასწავლო გარემო (აუდიტორია N214)- 15 სამუშაო ადგილი; B გარემო - აუდიტორია 213 ,15 სამუშაო ადგილი. დამატებით უცხო ენის კაბინეტი - 15 სამუშაო ადგილი;

C სასწავლო გარემოს წარმოადგენს ღვინის მცირე საწარმო და მარანი. საწარმო მოიცავს ყურძნის მისაღებ ე.წ. ,,ბუნკერს", სივრცეს , სადაც შესაძლებელია ყურძნის გადამუშავება, ასევე სივრცეს უჟანგავი ფოლადის ავზებისთვის. მარანში კი განთავსებულია ქვევრები,შენობის 0(ნულ) სართულზე წარმოდგენილია ნახევრადმიწაში განთავსებული ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დასავარგებელი სარდაფი მუხის კასრებით. ღვინის საწარმოს შიდა სივრცეში განთავსებულია სადეგუსტაციო ოთახი დეგუსტაციებისთვის. A გარემოს 15 სტუდენტის სამუშაო ადგილი. ასევე ლაბორატორია - 211 აუდიტორია, აგროსახლი, ვენახი, რომელიც შემდეგი ჯიშობრივი მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი: ჩინური, გორული მწვანე, მანავის მწვანე, ხიხვი, ვარდისფერი რქაწითელი, შარდონე, თავკვერი, ალექსანდროული, მუჯურეთული, კარდინალი, ჰამბურგის მუსკატი, მერლოუ. აგროსახლი - თუმცაღა აგროსახლი დაუსრულებია და მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და სივრცეში მოწყობილია 6 სტუდენტის სამუშაო მაგიდა, რასთან დაკავშირებითა დაწესებულებამ განმარტა, რომ როტაციის პრინციპით, მაგიდასთან ჯდება 6 სტუდენტი დანარჩენი საკალმეებს აკეთებენ მიწის ნაკვეთის ზონაში და შემდეგ ენაცვლებიან.

მატერიალურ - ტექნიკური აღჭურვილობა გათვლილია 15 სტუდენტზე ჯგუფში (ჯამურად 30 სტუდენტზე).

დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი:

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი №73 ხელშეკრულების (2026 წ. მაისი. ხელშეკრულების საგანია სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მევენახეობა და მეღვინეობა" საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით საჭირო ინვენტარის სახელმწიფო შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით) საფუძველზე შესყიდული ინვენტარის კოლეჯისთვის მიწოდება უნდა მომხდარიყო **2026 წლის 30 ივნისის ჩათვლით** (მუხლი 4.2). შესაბამიმსად ვიზიტის (2026 წლის 14 ივლსს) ექსპერტების მიერ მოთხოვნილ იქნა მიღება-ჩაბარების აქტები, რადგან მხარეთა შეთანხმებით ხელშერკულრებით ნაკისრი ვალდებულების საფუძველზე დანართი N6-ით განსაზღვრული მატერიალური რესურსების ადგილზე გადამოწმების შესაძლებლობა ჰქონოდათ. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზუალურად დაათვალიერა პროგრამისთვის განსაზღვრული რესურსი და გადაამოწმა მისი რაოდენობა მიღება-ჩაბარების აქტთან და დანართ N6-თან მიმართებით. დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ წარმოდგენილი მატერიალური რესურსი რაოდენობრივად და შინაარსობრივად შეესაბამება დოკუმენტაციას და საკმარისია პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის. თუმცაღა, კოლეჯს მფლობელობაში ჯერ კიდევ არ აქვს დანართი N3 ით განსაზღვრული და N75 ხელშეკრულებით დაორგანიზებული შესყიდვით, მატერიალური რესურსის ნაწილი, ეს არის:

1. მქროლავი მჟავას სახდელი მოწყობილობა - ბარბოტერი, მაცივარი. მანუალური;
2. სატიტრავი ხელსაწყო ტიტრული მჟავიანობის განსაზღვრისათვის;
3. სატიტრავი ხელსაწყო საერთო და გოგირდოვანი მჟავის განსაზღვრისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. როგორც გეგმიდან ჩანს, დაწესებულებას უკვე დასრულებული აქვს დანაკლისი რესურსის შეძენა და შენიშვნის ველში მტკიცებულებად დასახელებულია 14 .08 გარფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული ჰქონდა 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

პროგრამა კოოპერაციულია და ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტს. პრაქტიკის ობიექტთან - შპს ,,ირმა ჭანტურიას სახელობის ღვინის ლაბორატორია"- გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის (19.06.2026) დანართი 1 მოიცავს რესურსებს, რომლის უზრუნველყოფას ახდენს პრაქტიკის ობიექტი და შესაბამისობაშია პროგრამის მოთხოვნებთან.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობის" განხორციელებისთვის განსაზღვრულია მასწავლებელთა ისეთი რაოდენობა და ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. დანართი N3-ის მიხედვით, პროგრამის ყველა მოდულზე იდენტიფიცირებულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი, ხოლო პროგრამაში სულ ჩართულია 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი/განმახორციელებელი. მათგან 7 არის ზოგადი მოდულების განმახორციელებლი, ხოლო 14 დარგობრივი მოდულის, ხოლო 2 განმახორციელებელი ასწავლის ზოგად მოდულსაც და დარგობრივსაც.

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტით დადასტურებულია, რომ სასწავლო გეგმა ისეა ორგანიზებული, რომ შესაძლებელი იყოს ორი 15-კაციანი ჯგუფის (ჯამში 30 სტუდენტი) შეუფერხებელი სწავლება. შესაბამისად, მასწავლებელთა რაოდენობა, თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებლის არსებობა და პროგრამის ორგანიზაციული დაგეგმვა ქმნის პროგრამის განხორციელების მდგრადობის საკმარის საფუძველს.

დანართში მითითებული მასწავლებელთა კვალიფიკაცია/გამოცდილება დასტურდება მათი პირადი საქმეების (დიპლომების, სერტიფიკატების, ხელშეკრულებების/წიგნაკების) უშუალო შესწავლის საფუძველზე.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დანართი N3-ის მიხედვით, თითოეულ მოდულზე მითითებულია განმახორციელებელი მასწავლებლის სახელი, გვარი და ის კვალიფიკაცია/გამოცდილება (აკადემიური ხარისხი, სამუშაო გამოცდილება, სერტიფიკატები), რომლის საფუძველზეც დაწესებულებამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ პირს გააჩნია შესაბამისი მოდულისთვის საჭირო კომპეტენცია.

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და მასწავლებელთა პირადი საქმეების საფუძველზე, განხორციელდა გასაუბრება მასწავლებლებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებს ინტერვიუს ჩატარების შესაძლებლობა მიეცათ და კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ ორ განმახორციელებელთან შეხვედრა, მათ შორის ერთი იყო პროგრამის ხელმძღვანელი. გასაუბრების ფოკუსი ძირითადად ორიენტირებული იყო სტუდენტთა შეფასების საკითხბზე, რადგან კოლეჯი აქამდე ახორციელებდა მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამას დუალური მიდგომით, პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ყველა სწავლის შედეგი გატანილი იყო საწარმოო სწავლებისთვის.

დაწესებულების გადაწყვეტილებით, სწავლების მიდგომა შეიცვალა და გახდა კოოპერაციული, რაც ნიშნავს, რომ განმახორციელებლებს მოუწევთ არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების დასადასტურებლადაც შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების შექმნა და შეფასების პროცესის განხორციელება.

გასაუბრების პროცესში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ გამოიკვეთა, თუ როგორ არის უზრუნველყოფილი პრაქტიკული კომპონენტის შეფასების პროცესი პროფესიული განათლების საფეხურზე. კერძოდ, გასაუბრებისას არ დადასტურდა ინფორმაცია შეფასების მიმართულებების შესახებ (პრაქტიკული დავალება და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით). ამასთან, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს არ მიეწოდა თეორიული კომპონენტის შეფასების ინსტრუმენტი (ნიმუშის სახით მაინც), რომელიც შექმნილი იქნებოდა სწავლების დუალური მიდგომით განხორციელებისას. ასევე, ადამიანური რესურსის შესაძლებლობების განვითარება/გაუმჯობესებაზე პასუხისმგებელი პირის მხრიდან პერსონალის განვითარების გეგმა არ იქნა წარმოდგენილი, რომელიც შესაძლოა ასახავდა ორივე პროგრამის განმახორციელებლებისთვის დაგეგმილ მიზნობრივ შიდა ტრენინგებს ან სამუშაო შეხვედრებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი და შესრულების ინდიკატორი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 4 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამტკიცებულ პროგრამას (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი; N04-88; 03.06.2026) ყავს ორი პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელისთვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, დარგის განათლება და სამუშაო გამოცდილება ორივე კადრს დაკმაყოფილებული აქვს. კერძოდ, თამარ რიჟამაძე, რომელსაც აქვს აგრონომიის ბაკალავრის, მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში სამუშაო გამოცდილება, და გიორგი ახვლედიანი, რომელსაც აქვს სასურსათო ტექნოლოგიების ბაკალავრის, აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი, „სომელიეს" პროფესიული კვალიფიკაცია და დარგობრივი (მეღვინეობის) სამუშაო გამოცდილება. შესაბამისად, ორივე პირი აკმაყოფილებს დარგობრივი განათლებისა და გამოცდილების მოთხოვნებს.

საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობებში შედის: პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე ზრუნვა; პროგრამის შინაარსზე ზრუნვა; პროგრამისა და მისი განმახორციელებლებისთვის საჭირო მატერიალურ და ადამიანურ რესურსზე ზრუნვა; პროგრამის ვალიდაციის პროცესში მონაწილეობა; სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად შეფასების მტკიცებულებების შეგროვება; პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან კომუნიკაცია; და ყოველკვირეულად სტუდენტთა დასწრებისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის განხილვა და სასწავლო პროცესის მენეჯერისთვის წარდგენა.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ახვლედიანს პროგრამის ხელმძღვანელად მუშაობის გამოცდილება აქვს კოლეჯის მიერ პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების პერიოდშიც, რაც ადასტურებს მის უწყვეტ და შემდგარ გამოცდილებას პროგრამის ხელმძღვანელობის ფუნქციის შესრულებაში, სწავლის მიდგომის ცვლილების მიუხედავად. თუმცაღა, ვიზიტის დროს ექსპერტებსა და გიორგი ახვლედიანს შორის გასაუბრება არ მოხდა და პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებების შესრულების შესაძლებობის გაცნობა, მათ შორის ვალიდაციის საკითხთან მიმართებით. კოლეჯში მოქმედი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის მუხლი 61 , პუნქტი 5 პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებად განსაზღვრულია ვალიდაციის პროცესში მონაწილეობა.

რაც შეეხება მეორე პროგრამის ხელმძღვანელს, გასაუბრების პროცესში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ გამოიკვეთა შესაბამისი კომპეტენცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (შეფასების ინსტრუმენტის შექმნა, მათ შორის პრაქტიკული კომპონენტისთვის). გასაუბრების ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფს არ მიეწოდა ინფორმაცია პრაქტიკული კომპონენტის შეფასების მიმართულებით პროგრამის ხელმძღვანელების კომპეტენციების გაძლიერების კუთხით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი ხარვეზად იქნა მიჩნეული, ვინაიდან პრაქტიკული კომპონენტის შეფასებისთვის საჭირო კომპეტენციასთან დაკავშირებული გარემოებები დაკავშირებულია პროგრამის ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესის უზრუნველყოფასთან.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი და შესრულების ინდიკატორი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 4 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ბიბლიოთეკის საქმიანობა რეგულირდება „ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესით“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-40 (31.08.2015, ბოლო ცვლილება -N04-66, 23.03.2023). ბიბლიოთეკა განკუთვნილია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პერსონალის სარგებლობისთვის და ამისთვის აუცილებელი წინაპირობაა ბიბლიოთეკაში გაწევრიანება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით და მასში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ექსპერტების მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერები შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ბიბლიოთეკაში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, ასევე საოფისე მრავალფუნქციური პრინტერი. სამუშაო გარემო უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში" შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტების სასწავლო რესურსებთან წვდომა რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

კერძოდ, ითვალისწინებს კოლეჯის ვალდებულებას, უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროცესში და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის, კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მონაწილეობით. ასევე, აღნიშნული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობა ინფრასტრუქტურული თვალსაზრისითაც არის უზრუნველყოფილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული წესი ასევე ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესს, რომელიც შედგება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის, სამუშაო ჯგუფის მიერ (სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის მონაწილეობით), ინკლუზიური განათლების სპეციალისტის რეკომენდაციების საფუძველზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას მისაწვდომი სწავლის შედეგების, სასწავლო გარემოსა და პირობების ცვლილების, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში დამატებით სპეციალურად შემუშავებული მასალების (რესურსების) გათვალისწინებით.

აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ სსსმ პირებს ჰქონდეთ წვდომა როგორც ზოგადად პროგრამით გათვალისწინებულ, ისე მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებულ სასწავლო რესურსებთან.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მევენახეობა და მეღვინეობა" (კოოპერაციული) საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას, რენტაბელობის ზღვარია - 7 სტუდენტი. საპროგნოზო ბიუჯეტში შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია სტუდენტთა ვაუჩერული დაფინანსებიდან (15 სტუდენტი) და პროგრამული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი, ხოლო ხარჯების ნაწილში ასახულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი ხარჯები, მათ შორის მასწავლებელთა ხელფასი, ძირითადი საშუალებების ცვეთა, დიპლომის ბეჭდვა, სარეკლამო ხარჯი, სტუდენტების მხარდაჭერის ხარჯი და სხვა (ადმინისტრაციული, კომუნალური და სხვა) ხარჯები.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.7. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მევენახეობა და მეღვინეობის პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა. N04-88; 03.06.2026
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი; (მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი) N04-88; 03.06.2026
- ადმინისტრაციულ თანამშრომელთა პოზიციის დასაკავებლად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები უფლებამოსილებები/ უფლებამოვალეობები-დამტკიცებულია 2020 წლის 30 აპრილის ბრძანებით N04-65, ბოლო ცვლილება: 2026 წლის 1 აპრილი.
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები
- შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები
- შპს ,,ირმა ჭანტურიას სახელობის ღვინის ლაბორატორია"- გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის (19.06.2026)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. დამტკიცებულია: დირექტორის ბრძანებით N04-152, 13.12.2019წ. ბოლო ცვლილება: ბრძანება N04-112, 10/07/2026წ.
- ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი, დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-40 (31.08.2015), ბოლო ცვლილება -N04-66, 23.03.2023).
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები (სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა) მათ შორის პრაქტიკის ობიექტის დათვალირება და ინტერიუ
- ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკარი)
- **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026**

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა ხორციელდება დამტკიცებული სასწავლო გეგმის (დანართი N1) მიხედვით, რომელიც მოიცავს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა მოდულს: ზოგად მოდულებს (ინფორმაციის ტექნოლოგია, მეწარმეობა, უცხო ენა) და დარგობრივ-პროფესიულ მოდულებს (მათ შორის: ბიოღვინის წარმოება, ვენახის გაშენება, მსხმოიარე ვაზის მოვლა, ვაზის ინტეგრირებული დაცვა, ყურძნის გადამუშავება და ვინიფიკაცია, ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა, საწარმოს მართვა და სხვ.), თითოეულისთვის განსაზღვრული კრედიტების, საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათებისა და შეფასების კომპონენტების ზუსტი განაწილებით კვირების მიხედვით. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების პროცესიც, ინდიკტორის ფარგლებში. კერძოდ კი მასწავლებლების მიერ კალენდარული გეგმების წარმოება, რაც სრულ შესაბამისობაში იყო არსებულ მოთხოვნებთან.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობა შეესაბამება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესს", რომლის თანახმად, ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი ცხრილით, ხოლო სასწავლო კვირის დაანონსება ხდება თითოეული სასწავლო კვირის დასაწყისში დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილას.

ასევე, ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის" დირექტორის 2026 წლის 29 აპრილის N04-63 ბრძანება, რომლითაც შაბათი და კვირა კოლეჯში სასწავლო/სამუშაო დღედ განისაზღვრა კოლეჯის წინამძღვრიანთკარის ფართის ლოკაციაზე დასაქმებულთათვის და პროფესიული სტუდენტებისათვის. ბრძანების თანახმად, აღნიშნულ დღეებში სასწავლო პროცესი უნდა განხორციელდეს დამტკიცებული სასწავლო გეგმისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ შედგენილი ცხრილის შესაბამისად.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თანახმად, კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას მოქნილი ფორმებით, პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით. კერძოდ, შეფასების სხვადასხვა ფორმის (წერითი, ზეპირი, ინდივიდუალური თუ ჯგუფური აქტივობები) გამოყენების შესაძლებლობა, პროფესიული განათლების მასწავლებლის დისკრეციით, კონკრეტული ჯგუფის საჭიროებიდან გამომდინარე შერჩევა. გარდა ამისა, დადგენილია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაშიც კი, სტუდენტთა ინტერესები დაცულია და უზრუნველყოფილია სწავლის გაგრძელების უწყვეტობა.

სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯში მოქმედებს საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის საკითხებში. კერძოდ, კომუნიკაციისთვის გამოიყენება სოციალური ქსელების ჯგუფები, რომელთა საშუალებითაც სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ. სტუდენტების მიერ დადასტურებული ინფორმაციით, კოლეჯის ადმინისტრაციასთან და პროგრამის განმახორციელებლებთან არსებული კომუნიკაცია ხელს უწყობს სასწავლო პროცესის სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებასა და მათი ინტერესების გათვალისწინებას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების მოთხოვნა პირდაპირ არის ასახული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში" რომლის თანახმად, თემატურ-კალენდარული გეგმის შემუშავებისას პროგრამის განმახორციელებელი პირი სწავლების პროცესს წარმართავს „სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით", რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტი შესაბამისად აღჭურვილ გარემოში ნახავს, მონაწილეობას მიიღებს და ასევე თვითონ დამოუკიდებლად განახორციელებს ღვინის დაყენების სრული ტექნოლოგიური პროცესის ყველა საფეხურს ყურძნის დაწურვიდან ღვინის ბოთლში ჩამოსხმისა და ეტიკეტირების ჩათვლით. სტუდენტი ასევე შეძლებს კოლეჯის ფლობაში არსებულ ვენახებში ნახოს და უშუალოდ ჩაატაროს ვაზის ნერგის გამოყვანის, ვაზის დარგვის, მოვლის, მწვანე ოპერაციების, კვების და შეწამვლის ყველა სეზონური პროცესი. სტუდენტი გამოიმუშავებს საჭირო კომპეტენციებსა და უნარებს პროგრამის შედეგებზე გასასვლელად.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თანახმად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კერძოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების მისაწვდომ ფორმატში წარმოდგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების მორგებას და საჭიროებისამებრ დამატებითი მასალების შემუშავებას. ასევე, დისტანციური სწავლების ფარგლებში სსსმ სტუდენტთა მონაწილეობისა და დავალებების შესრულების მონიტორინგს უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. ასევე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს კონსულტირების სერვისებით როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე მისი ფარგლებს გარეთ, დამატებითი საათების გამოყოფით, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს სტუდენტის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის რეალიზებას სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, ხდება ეს ფორმალურ ცხრილში გათვალისწინებული საათების ფარგლებში თუ მის მიღმა. ამგვარად, სტუდენტს რჩება შესაძლებლობა, საჭიროებისამებრ მიმართოს დამატებით მხარდაჭერას სასწავლო მასალის უკეთ გააზრებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ხელშესაწყობად.

სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან აქტიური კომუნიკაციის საფუძველზე, მათ აქვთ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად დაგეგმონ და გაიარონ კონსულტაციები ან დამატებითი მეცადინეობები. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ კოლეჯი ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც ეხმარება მათ სასწავლო პროგრამის წარმატებით დაძლევაში.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პრაქტიკის განმახორციელებელი პარტნიორი მევენახეობა და მეღვინეობის პროგრამის ფარგლებში კოლეჯს ყავს ერთი ორგანიზაცია. კოლეჯს წერილობითი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით აქვს ურთიერთობის ფორმები და საგანი დადგენილი. 2026 წლის 19 ივნისს გაფორმებული მემორანდუმი კოლეჯსა და შპს „ირმა ჭანტურიას სახელობის ღვინის ლაბორატორია"-ს შორის, რომლის საგანს წარმოადგენს მხარეთა თანამშრომლობა „მევენახეობა და მეღვინეობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით. მემორანდუმის მიხედვით, პარტნიორი საწარმო კონკრეტული მოდულის ფარგლებში (ღვინის ხარისხის შემოწმება და სარეალიზაციოდ მომზადება და რეალიზაცია) უზრუნველყოფს პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე, ერთ ჯგუფში არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას, პრაქტიკული სწავლებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნასა და სტუდენტთა შრომის უსაფრთხოების წესებში გაცნობას, ხოლო კოლეჯი ვალდებულია მინიმუმ 14 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს პარტნიორს პრაქტიკის ვადების, სტუდენტთა რაოდენობისა და ვინაობის, ასევე პრაქტიკის თემატიკის შესახებ. პრატიკის ობიექტთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათი მხრიდან იქნება სტუდენტების სწავლების პროცესზე პასუხიმგებელი პირი გამოყოფილი და სწორედ აღნიშნულ პირთან მოხდა გასაუბრების ჩატარება.

ასევე, პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტის ფარგლებში პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადასტურდა მემორანდუმის დანართი 1-ით განსაზღვრული რესურსის არსებობა, რომელიც ორგანიზაციის მხრიდან გამოყენებული იქნება სტუდენტების სწავლების პროცესში. აუცილებელია აღინიშნოს ინდიკატორთან შეუსაბამობის საკითხი. კერძოდ: ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ლაბორატორიას ერთდროულად მიღებისა და სწავლების შესაძლებლობა აქვს მხოლოდ 5 სტუდენტისთვის, ხოლო კოლეჯს ზღვრული ოდენობა აქვს ჯამში 30 სტუდენტის ერთ ჯგუფში 15 სტუდენტით(ორი ჯგუფი) . გასაუბრების პროცესში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ გამოიკვეთა, თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი ერთ ჯგუფში 15 სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე სწავლება, რომელიც სასწავლო გეგმით გრძელდება 9 კვირა. დაწესებულების მხრიდან დასახელდა ცვლებით სწავლების ორგანიზების შესაძლებლობა, თუმცა წარმოდგენილი ინფორმაცია არ იყო საკმარისი, რათა ექსპერტების მიერ ინდიკატორთან შესაბამისობა შეფასებულიყო.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი და შესრულების ინდიკატორი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 4 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თანახმად, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო სასწავლო გარემო სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპსა და ლოკაციაზე მიუხედავად იმისა, მიმდინარეობს ეს კოლეჯის საკუთარ ბაზაზე (მათ შორის, ლაბორატორია, სასწავლო ვენახი) თუ პარტნიორ ორგანიზაციაში სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში, სადაც ეს ვალდებულება პარტნიორ ორგანიზაციასაც ეკისრება. ეს ზოგადი მოთხოვნა პროგრამის სპეციფიკის მიხედვით დაკონკრეტებულია ცალკე დოკუმენტებით.

კერძოდ, „მევენახეობა და მეღვინეობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების ცალკე ნორმები (ბრძანება N04-110, 06/07/2026), რომელიც ვრცელდება პროგრამის ფარგლებში ნებისმიერ პრაქტიკულ სამუშაოზე - მათ შორის მევენახეობასთან დაკავშირებულ საველე სამუშაოებზე. წესი ითვალისწინებს ხელსაწყოს გამართულობის შემოწმებას გამოყენებამდე, ბასრი იარაღების (მაგ., სეკატორის) გამოყენებისას დისტანციის დაცვას, ტოქსიკური ნივთიერებებისგან დაცვის შესაბამისი საშუალებების (ხელთათმანი, ნიღაბი) გამოყენებას, აგრეთვე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა თუ სხეულის დაზიანების შემთხვევაში მოქმედების წესს. ცალკეა გაწერილი მოთხოვნები ავარიულ სიტუაციებში მოქმედებისთვის (პანიკის დაუშვებლობა, სსსმ/შშმ პირების პრიორიტეტული ევაკუაცია, ელექტრული ტექნიკის გამორთვა) და სამუშაოს დასრულების შემდგომი ვალდებულებებისთვის.

რაც შეეხება ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვას, ის რეგულირდება ცალკე წესით (ბრძანება N04-111, 06/07/2026), რომელიც განსაზღვრავს ნარჩენების ორგანიზებულ შეგროვებას და სახიფათო/ქიმიური ლაბორატორიული ნარჩენების დროებით შენახვას სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერებში ლიცენზირებული სპეციალური სამსახურის მიერ გატანამდე, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ადამიანის, არამედ სასწავლო გარემოს ზოგად უსაფრთხოებას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი (დანართი 1: სასწავლო გეგმა N04-88; 03.06.2026)
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. დამტკიცებულია: დირექტორის ბრძანებით N04-152, 13.12.2019წ. ბოლო ცვლილება: ბრძანება N04-112, 10/07/2026წ.
- დირექტორის 2026 წლის 29 აპრილის N04-63 ბრძანება „სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში" შაბათისა და კვირის სასწავლო/სამუშაო დღედ განსაზღვრის შესახებ"
- „სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯსა" და შპს „ირმა ჭანტურიას სახელობის ღვინის ლაბორატორიას" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი", ხელმოწერილია: მხარეთა (დირექტორების) მიერ, 19 ივნისი, 2026 წელი
- შრომის უსაფრთხოების ნორმები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: მევენახეობა და მეღვინეობა. ბრძანება N04-110, 06.07.2026წ.
- სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი" ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი" ბრძანება N04-111, 06.07.2026წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.
- **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026**

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თანახმად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა და ინსტრუმენტი უნდა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, თითოეულის შინაარსი კი შემდეგნაირად არის განსაზღვრული და რეალურად უზრუნველყოფილი:

- ვალიდურობა: შეფასების ინსტრუმენტი ვალიდურია, თუ რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დასადასტურებლად, რომელიც ფასდება, და იძლევა ამ შედეგის ყველა კრიტერიუმის მიხედვით შეფასების საშუალებას. ეს პრინციპი პრაქტიკულად გათვალისწინებული ვალიდაციის პროცედურით: შეფასების პროცესამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი შემუშავებულ ინსტრუმენტს წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც ვალიდაციის პროცესში რთავს პროგრამის ხელმძღვანელს ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს. მენეჯერი ამოწმებს ტექნიკურ მხარეს, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი შინაარსობრივ მხარეს. ხარვეზის აღმოჩენისას ინსტრუმენტი უბრუნდება ავტორს რეკომენდაციებით/შენიშვნებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული ვარიანტი; ხოლო შეთანხმებული ინსტრუმენტის გარეშე მისი გამოყენება შეფასების დღეს დაუშვებელია.
- სანდოობა: შეფასების შედეგი უნდა იყოს გამყარებული სათანადო მტკიცებულებებით, რაც კოლეჯში მიიღწევა შეფასების პროცესის დოკუმენტირებითა და შედეგების დაარქივებით.
- გამჭვირვალობა: შეფასების პროცესი, პირობები, მოთხოვნები და სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ ცნობილი უნდა იყოს ყველა შესაფასებელი პირისთვის.
- სამართლიანობა: შეფასების პროცესი ისეა ორგანიზებული, რომ შესაფასებელ პირს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა დაადასტუროს მიღწეული შედეგი (იდენტური თარიღი, გარემო, მასალა, აღჭურვილობა და სხვა პირობები ყველასთვის თანაბრად).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ობიექტურობა: განისაზღვრება იმით, რომ ყველა შესაფასებელი პირი, ერთნაირი შესრულების/შედეგის პირობებში, ერთნაირად უნდა შეფასდეს, ანუ შედეგი დამოკიდებული არ უნდა იყოს შემფასებლის სუბიექტურ განსჯაზე.

სტუდენტის შეფასების სისტემა იძლევა განმეორებითი შეფასების შესაძლებლობასაც, კერძოდ, თუ სტუდენტმა ვერ დაადასტურა სწავლის შედეგი ან არ გამოცხადდა შეფასებაზე, მას აქვს განმეორებითი შეფასების უფლება ერთხელ თუ მოდული სხვა მოდულის დაშვების წინაპირობაა, 7 კალენდარული დღის ვადაში, სხვა შემთხვევაში კი პროგრამის დასრულებამდე. ამისთვის სტუდენტი წარადგენს განცხადებას დირექტორის სახელზე, ხოლო განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო მასალას უზრუნველყოფს კოლეჯი.

ვიზიტის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ ინდიკატორის მოთხოვნა რეგულირებულია კოლეჯის შიდა რეგულაციებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუს ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაცია არ იყო საკმარისი კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის რეალური პრაქტიკის შესასწავლად. კერძოდ, ჩატარდა ინტერვიუ შეფასების სისტემის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან, რომლის შედეგადაც წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ გამოიკვეთა შესაბამისი კომპეტენცია/გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტის შეფასების პროცესში შეფასების 5 პრინციპის დაცვას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების განმარტებით, პასუხისმგებელი პირი კოლეჯში ახლად დასაქმებული კადრია.

ამ შემთხვევაშიც მთავარი გამოწვევა აღმოჩნდა პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიჩნეულ იქნა ხარვეზად, ვინაიდან კოლეჯის მიერ პროგრამის განხორციელების მიდგომის ცვლილების შედეგად, „მევენახეობა და მეღვინეობის" პროგრამისთვის არჩეულია კოოპერაციული სწავლება და კოლეჯს მოუწევს სტუდენტების პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების შეფასება. ამ პროცესში დაცული უნდა იყოს შეფასების ვალიდობის, სანდოობის, ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპები.

ამასთან, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე არ გამოიკვეთა მევენახეობა და მეღვინეობის დუალური სწავლების პერიოდში შექმნილი ინსტრუმენტები (თეორიული კომპონენტისთვის) და მათი ვალიდაციის პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სრულყოფილად. წარმოდგენილი იყო მხოლოდ ე.წ. ჩეკ-ლისტი, სადაც კრიტერიუმების მიხედვით მონიშნულია დადებითი პასუხი, თუმცა არ იკვეთება, თუ რომელ ინსტრუმენტს მიემართება იგი. ასევე არ ჩანს მონაწილე პირების სახელი და გვარი - დაფიქსირებულია მხოლოდ ხელმოწერა, რომლის იდენტიფიცირებაც შეუძლებელია, რის გამოც ვერ დგინდება, ვინ იყო ჩართული ვალიდაციის პროცესში და რამდენად იყო დაცული ინტერესთა კონფლიქტი.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი და შესრულების ინდიკატორი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 4 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილდა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯში მოქმედი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" აწესებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მკაფიოდ განსაზღვრულ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმებას:

- **ვერიფიკაციის მიმართულებები:** შიდა ვერიფიკაცია მოიცავს სამ ძირითად ნაწილს: შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას.
- **პრინციპები:** ვერიფიკაცია ეყრდნობა ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რომელთა კრიტერიუმებიც ცალკე დეტალურადაა გაწერილი.
- **ვერიფიკაციის ჯგუფი:** ყალიბდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით და შესაძლოა შედგებოდეს დარგის ექსპერტის, პროფესიული მასწავლებლის, მოწვეული პირის, სამინისტროს მიერ შექმნილი გუნდის წარმომადგენლისა და სხვა კომპეტენტური პირებისგან, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პრინციპის დაცვით.
- **რისკზე დაფუძნებული მიდგომა:** ვერიფიკაცია ეყრდნობა წინასწარ შემუშავებულ რისკ-ფაქტორებს (მაგალითად, ახლადდანიშნული მასწავლებელი, დაბალი შედეგები, სტუდენტთა/მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა), რომლებიც ფასდება 1-დან 4-მდე ქულით.
- **დასკვნა და რეაგირება:** ვერიფიკაციის ჯგუფი ავსებს დამტკიცებულ ვერიფიკაციის დასკვნის ფორმას (დანართი 1), დგინდება გამოვლენილი პრობლემები, ყალიბდება სამოქმედო გეგმა კონკრეტული ვადებით, ინდიკატორებით და საჭირო რესურსებით, ხდება მისი შემდგომი მონიტორინგი და დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა, რამდენად შეესაბამებოდა კოლეჯში დამტკიცებული და მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმი რეალურ პროცესებს. ხარისხის მენეჯერთან ჩატარებული ინტერვიუსა და წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ გამოიკვეთა ვერიფიკაციის გეგმის არსებობა, ასევე არ გამოიკვეთა, რა კრიტერიუმებით ხორციელდება მოდულის ან ინსტრუმენტის შერჩევა ვერიფიკაციისთვის და როგორია ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების პრაქტიკა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა ამ ნაწილში ხარვეზი დააფიქსირა.

ასევე, ვიზიტისა და გასაუბრების პროცესში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ დადასტურდა უშუალოდ „მევენახეობა და მეღვინეობის" პროგრამის ფარგლებში გასულ წლებში განხორციელებული ვერიფიკაციის მტკიცებულებების არსებობა, რომელთა შესწავლაც შესაძლებელს გახდიდა ხარვეზის წარმოშობის მიზეზის დეტალურად დადგენის. დაწესებულების განმარტებით, აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა მათ არ გააჩნიათ. ამის ნაცვლად წარმოდგენილი იყო სხვა პროგრამის ნიმუში, რაც არ ადასტურებს კონკრეტულად შესაფასებელი პროგრამის ფარგლებში, მათ შორის დუალური სწავლების პერიოდში, ვერიფიკაციის განხორციელების ფაქტს. ამასთან, გასაუბრების ეტაპზე დაწესებულების მხრიდან აღინიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებელი პირი კოლეჯში ახლად დასაქმებული თანამშრომელია.

დაწესებულებამ აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (N1051185, 14.08.2026), რომელშიც განმარტავს, რომ კოლეჯში მოქმედი წესის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" შესაბამისად, ვერიფიკაციის პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ხარისხის მართვის მენეჯერი. ამასთან, დაწესებულება მიუთითებს, რომ ხარისხის მართვის მოქმედი მენეჯერი აღნიშნულ თანამდებობას 2026 წლის 1 აპრილიდან იკავებს და აღნიშნულ გარემოებას უკავშირებს კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეტაპობრივ ხასიათს, ასევე ადამიანური და ორგანიზაციული რესურსების დატვირთვას, რაც პროფესიული განათლების მიმართულებით მიმდინარე რეფორმისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები ადგილების ზრდის პირობებში წარმოიშვა.

დაწესებულება ასევე აღნიშნავს, რომ იზიარებს ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებულ შენიშვნას და აღნიშნულ პროცესს განახორციელებს კოლეჯის წესის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ შესაბამისად, რაც ასახულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026, და შეაფასა მათი რელევანტურობა ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილ ხარვეზთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ თანამდებობის 2026 წლის 1 აპრილიდან დაკავების შესახებ. ამასთან, აღნიშნული გარემოება თავისთავად ვერ ადასტურებს ვერიფიკაციის პროცესის მოქმედი მექანიზმის შესაბამისად განხორციელებას და ვერ ცვლის ვიზიტის დროს მოპოვებულ მტკიცებულებებს.

კერძოდ, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ კოლეჯში მოქმედი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ განსაზღვრული ვერიფიკაციის პროცესი პრაქტიკაში ხორციელდება. აღნიშნულთან ერთად, ინტერვიუს დროს ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელმა ხარისხის მართვის მენეჯერმა ვერ წარმოადგინა საკმარისი ინფორმაცია ვერიფიკაციის პროცესის არსის, კოლეჯში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმით განსაზღვრული პროცედურებისა და შესაბამისი პროცესების შესახებ. ასევე, ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო ინფორმაცია ვერიფიკაციის გეგმასა და რისკების მართვის/შეფასების სისტემასთან დაკავშირებით.

აღნიშნული გარემოებები ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ერთობლიობაში და მიიჩნია, რომ ვიზიტის დროს მოპოვებული მტკიცებულებები ვერ ადასტურებდა ინდიკატორის მოთხოვნების შესრულებას. ამასთან, დაწესებულების მიერ ხარისხის მართვის მენეჯერის ახალი დასაქმების ფაქტისა და ადამიანური რესურსის დატვირთვის შესახებ წარმოდგენილი განმარტებები ვერ ჩაითვლება იმ მტკიცებულებად, რომელიც დაადასტურებდა შესაბამისი პროცესების პრაქტიკაში განხორციელებას.

დაწესებულების მიერ წარმოგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ხარვეზის აღმოფხვრის აქტივობად განსაზღვრულია მხოლოდ: „ვერიფიკაციის განსახორციელებლად საჭირო ეტაპები - კოლეჯში მოქმედი წესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად“.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული ჩანაწერი ვერ უზრუნველყოფს გამოვლენილი ხარვეზის გამომწვევი გარემოებებისა და კონკრეტული საჭიროებების სათანადო გათვალისწინებას. კერძოდ, აღნიშნული აქტივობა არსებითად გულისხმობს კოლეჯის მიერ უკვე განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისად მოქმედებას და არ ასახავს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებითაც შესაძლებელი გახდება ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირის მიერ შესაბამისი მექანიზმის პრაქტიკაში ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ვიზიტის დროს ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირის მიერ ვერ იქნა სათანადოდ წარმოდგენილი ინფორმაცია აღნიშნული პროცესის არსის, მოქმედი მექანიზმების, ვერიფიკაციის გეგმისა და რისკების სისტემის შესახებ, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში კარგი იქნებოდა კონკრეტული მხარდამჭერი და განმავითარებელი ღონისძიებების განსაზღვრა. მაგალითად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებელი პირისთვის კონსულტაციების, სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების ან სხვა შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობდა ვერიფიკაციის მექანიზმით განსაზღვრული პროცესების სათანადოდ გააზრებასა და პრაქტიკაში განხორციელებას.

ამასთან, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სასურველი იყო ასახულიყო არა მხოლოდ განსახორციელებელი პროცესის ზოგადი მითითება, არამედ კონკრეტული აქტივობები, მათი განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები და მოსალოდნელი შედეგები/დადასტურების მექანიზმები, რაც შესაძლებელს გახდიდა ხარვეზის აღმოფხვრის პროგრესისა და საბოლოო შედეგის შეფასებას.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული აქტივობა ვერ უზრუნველყოფს ვიზიტის დროს გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრისათვის საკმარისი და კონკრეტული ღონისძიებების იდენტიფიცირებას. აღნიშნულის საფუძველზე, წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისი აქტივობა მიჩნეულ იქნა არასაკმარისად ინდიკატორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე 2.4.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თანახმად, შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო შეფასების უწყისი ინახება უვადოდ. ეს მოთხოვნა ვრცელდება სასწავლო შედეგების დამადასტურებელ ელექტრონულ და მატერიალურ ჟურნალის ჩანაწერებზე ასევე კოლეჯის მიერ წარმოებულ დამატებით დოკუმენტაციაზე, რომელიც შეფასების პროცესის მტკიცებულებას წარმოადგენს.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მიხედვით, შეფასების შედეგები პირდაპირ უკავშირდება სტუდენტის შემდგომი განვითარების დაგეგმვას. მოდულიდან მოდულებზე გადასვლა ხდება მხოლოდ დადასტურებული სწავლის შედეგის საფუძველზე, რაც უშუალოდ განსაზღვრავს სტუდენტის აკადემიურ ტრაექტორიას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ან სტატუსშეცვლილი სტუდენტისთვის ეს გამოიხატება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩამოყალიბებაში, სადაც სწორედ მიღწეული ან მიუღწეველი შედეგებია გეგმის საფუძველი. გარდა ამისა, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს რჩება განმეორებითი შეფასების უფლება, რაც წარმოადგენს შეფასების შედეგზე დაფუძნებულ, სტუდენტზე ორიენტირებულ განვითარების დამატებით შესაძლებლობას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. დამტკიცებულია: დირექტორის ბრძანებით N04-152, 13.12.2019წ. ბოლო ცვლილება: ბრძანება N04-112, 10/07/2026წ.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ბოლო ცვლილება დამტკიცებულია 09.03.2022 ბრძ:N04-45
- ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან.
- **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026**

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

პროგრამის სახელწოდება	მევენახეობა და მეღვინეობა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მეღვინეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0888
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	17
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

II. ზოგადი ინფორმაცია - მებაღეობა

პროგრამის სახელწოდება	მებაღეობა / Horticulture
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში / Secondary Vocational Qualification in Horticulture
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	9
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	---
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** [redacted] **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	[redacted] შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება [redacted] მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება [redacted] არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მისიაა მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის, ხელი შეუწყოს ინდივიდის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, ასევე უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდას. კოლეჯი მრავალპროფილურია, თუმცა მისი წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა. კოლეჯის ხედვის თანახმად, 2027 წლისთვის დაწესებულებამ უნდა ჩამოყალიბდეს ლიდერ კოლეჯად კვალიფიციური კადრების მომზადებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს არსებული პროგრამების განვითარება. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამა „მებაღეობის" დუალურიდან იმიტირებულ მიდგომაზე გადასვლის შესახებ დაწესებულების გადაწყვეტილება წარმოადგენს ამ მიზნის პრაქტიკულ რეალიზაციას და ეფუძნება არა ფორმალურ, არამედ არსებით დასაბუთებას: 2019 წლიდან დუალური მოდელით განხორციელების პრაქტიკამ გამოავლინა კონკრეტული პრობლემები (გეოგრაფიულად დაშორებული, მცირე ზომის საწარმოები, სტაჟიორთა შეზღუდული ჩართულობა სამუშაო პროცესში, სამმხრივი ხელშეკრულებით საწარმოზე დაკისრებული დამატებითი ვალდებულებები), რომელთა გადაჭრასაც დაწესებულება ხედავს საკუთარი რესურსის (20 ჰექტარი მიწა, სამი აღჭურვილი სათბური) გამოყენებაში. ეს გადაწყვეტილება პირდაპირ უკავშირდება მატერიალურ-ინფრასტრუქტურის მხრივ ბაზის განვითარების მიზანს, ვინაიდან უზრუნველყოფს დაწესებულების არსებული, თუმცა აქამდე არასრულად ათვისებული რესურსის სრულფასოვან გამოყენებას, და სტუდენტების მხარდაჭერის მიზანს, ვინაიდან პრაქტიკული სწავლებისთვის კოლეჯის ტერიტორიის გამოყენება სტუდენტებს (მათ შორის რეგიონებიდან ჩამოსულ, საერთო საცხოვრებლით მოსარგებლე სტუდენტებს) სთავაზობს უფრო ხელმისაწვდომ და მოქნილ სასწავლო პროცესს. ამასთან, აგრარული პროგრამის გაძლიერება პირდაპირ უკავშირდება დაწესებულების მისიასა და ხედვას, სადაც კოლეჯი საკუთარ თავს განიხილავს რეგიონისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ, სოფლის მეურნეობაზე ორიენტირებულ წამყვან დაწესებულებად.
შესაბამისად, დასაბუთება არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური მითითებით სტრატეგიულ დოკუმენტზე, არამედ აჩვენებს რეალურ ლოგიკურ კავშირს კონკრეტულ პრობლემასა, არსებულ რესურსსა და მიღებულ გადაწყვეტილებას შორის.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა" წარმოადგენს მეოთხე საფეხურის (NQF, დონე 4) პროგრამას, რომლის ფარგლებშიც პირს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში. პროგრამის დოკუმენტით განსაზღვრული დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება.

კოლეჯის „აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესის" თანახმად , პროგრამაზე ჩარიცხვა სამ ეტაპად მიმდინარეობს: აპლიკანტთა რეგისტრაცია ერთიან სარეგისტრაციო სისტემაში, შერჩევა და შედეგების გამოცხადება/ჩარიცხვა. ვინაიდან „მებაღეობა" საშუალო საფეხურის (არაინტეგრირებული) პროგრამაა, შერჩევა ხორციელდება წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესით - მოტივაციური გასაუბრებით, 100-ქულიანი სისტემით, სადაც მინიმალური კომპეტენციის ზღვარია მთლიანი ქულის 25%. გასაუბრება ფასდება რამდენიმე კომპონენტის მიხედვით (პროფესიული ცნობისმოყვარეობა, პროფესიის შესახებ ინფორმირებულობა, საჭიროებებით დაინტერესება, პროფესიასთან დაკავშირებული ღირებულებები და პიროვნული მახასიათებლები, კომუნიკაციური უნარები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაშვების წინაპირობა (სრული ზოგადი განათლება) და შერჩევის ფორმა (მოტივაციური გასაუბრება) შეესაბამება პროგრამის სირთულის დონეს - პროგრამის სწავლის შედეგები (მცენარეთა დახასიათება, ნიადაგის დამუშავება, მცენარეთა მოვლა-გამრავლება, ბაღის მოწყობა და სხვ.) არ საჭიროებს რაიმე სპეციფიკურ წინარე პროფესიულ ცოდნას, თუმცა მოტივაციური გასაუბრება იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს აპლიკანტის ინტერესი და მზაობა კონკრეტული პრაქტიკული საქმიანობისთვის.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულებაში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის №04-03 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილებები: №04-12, 14.02.2019; №04-10, 20.01.2022) „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი". წესის თანახმად, კოლეჯში გამოიყოფა სამი ტიპის სასწავლო გარემო: A - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისთვის; B - კომპიუტერული ლაბორატორია; C - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობაში ან გარე სივრცე, სპეციალობის დემონსტრირებისა და პრაქტიკისთვის აუცილებელი ტექნიკითა და ინვენტარით. ამავე, წესის თანახმად, კონკრეტულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: A და B გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობა; C გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა; პროგრამის ხანგრძლივობა; მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა; სწავლების ფორმა და პროგრამის განხორციელების მიდგომა. წესის თანახმად, თითოეულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯში შექმნილი პროგრამის შემუშავების ჯგუფი და თან ერთვის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამის პროექტს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთების (დანართი N2) თანახმად, პროგრამა „მებაღეობისთვის" ზღვრული რაოდენობა გაანგარიშებულია შემდეგი რესურსების საფუძველზე: A სასწავლო გარემო, უცხო ენის კაბინეტი, C -სასწავლო გარემო. 25 პროფესიულ მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება; მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა გათვლილია 9 სტუდენტზე ჯგუფში. აღნიშნული რესურსების საფუძველზე დაწესებულებამ განსაზღვრა ზღვრული რაოდენობა 9 პროფესიული სტუდენტი.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დანართი N6 „მატერიალური რესურსი", რომელშიც მოდულების მიხედვით (ბოტანიკა/ეკოლოგია/საქართველოს ფლორა, გაცნობითი პრაქტიკა - მებაღეობა, დეკორატიული მცენარეები, აგროკულტურები და სხვ.) დეტალურადაა გაწერილი თითოეული სასწავლო გარემოსთვის (A, A/C) საჭირო ინვენტარი, აღჭურვილობა და მასალა-ნედლეული. A გარემოსთვის სტანდარტულად გათვალისწინებულია სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო ადგილი, კომპიუტერი, დაფა, პროექტორი, ასევე პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი; A/C გარემოსთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(პრაქტიკული მოდულებისთვის) - ბაღის ინვენტარი (ბარი, თოხი, ფოცხი, სარწყავი, სარწყავი მილი, ბაღის მაკრატელი/სეკატორი), ასევე სარგავი და სათესი მასალა.

დანართში მოცემული რესურსების ნუსხა კონკრეტულ მოდულებთან პირდაპირ არის დაკავშირებული და, პროგრამის დოკუმენტში მითითებული სახით, მოიცავს ყველა იმ კომპონენტს, რაც შესაბამისი სწავლის შედეგების პრაქტიკული ათვისებისთვისაა საჭირო.

საგანმანათლებლო რესურსის (სახელმძღვანელოები, ლიტერატურა, ბიბლიოთეკის/ელექტრონული რესურსების ფონდი მოდულების მიხედვით) ნუსხა და მისი შესწავლა მოხდა უშუალოდ ვიზიტის ფარგლებში, ადგილზე, რაც შეაბამისობაში იყო პროგრამის მოთხოვნებთან.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული არჩევითი მოდული, შესაბამისად, პროგრამის შინაარსი სრულად ეფუძნება სავალდებულო სასწავლო კომპონენტებს.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

კოლეჯის პროგრამის შემუშავების წესის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების საკითხზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი, რომელიც წარმოადგენს ამ საკითხზე უფლებამოსილ პირს. კოლეჯის დირექტორის მიერ 2026 წლის 18 მაისის ბრანებით N 04-72-ით დამტკიცებულია, სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის" დირექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N04-13 ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,მებაღეობა“, ცვლილება და პროგრამის განახლებული რედაქცია.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „მებაღეობა“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, დასაქმების სფეროებსა და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროგრამის დოკუმენტით განსაზღვრული სწავლის შედეგები შინაარსობრივად ასახავს მებაღეობის სფეროსათვის საჭირო პროფესიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარებსა და კომპეტენციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.7. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „მებაღეობა"-ს საფუძველზე, სარეგისტრაციო ნომრით 08.7.1. პროგრამის ძირითად დოკუმენტში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგები, შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, პროგრამის მოცულობა, ხანგრძლივობა, დასაქმების შესაძლებლობები და სხვა აუცილებელი პროგრამული მახასიათებლები.

ამასთან, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ზოგად და პროფესიულ მოდულებს, სასწავლო გეგმას როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაციას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.8. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N04126 30.07.2020, ბოლო ცვლილება - N04-38; 09.03.2022.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფორმის ცვლილების დასაბუთება - დაწესებულების დირექტორის წერილი ხარისხის ცენტრს N672600; 04.06.2026 ცვლილების წერილი ხარვეზის გამოსწორებაზე: N 675201 . 05.06.2026
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - დამტკიცებულია 2019 წლის 11 იანვრის №04-03; ბოლო ცვლილება: №04-10, 20.01.2022.
- მებაღეობის პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა. N04-72, 18.05.2026
- პროგრამის შემუშავების წესი -დამტკიცებულია 2019 წლის 13.12. ბრძ. N04111; ბოლო ცვლილება 16.07.2025; N04-95
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი; N04-72, 18.05.2026
- აპლიკანტთა შერჩევის და ჩარიცხვის წესი დამტკიცებულია N04-69, 12.07.2021, ბოლო ცვლილება N04-109, 03.07.2026
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროგრამის დანართი N6-ის („მატერიალური რესურსი - მებაღეობა“) მიხედვით, სასწავლო გარემო A/B/C-ის მოთხოვნებით გაწერილია რესურსი მოდულების შესაბამისად, ნუსხა მოიცავს როგორც სასწავლო გარემოს ტექნიკურ აღჭურვილობას (კომპიუტერი, დაფა, პროექტორი, სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო ადგილები), ისე პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ინვენტარსა და ხელსაწყოებს (ბარი, თოხი, ფოცხი, სამყნობი აპარატურა, სარწყავი/საწამლი აპარატები, საზომი ხელსაწყოები - pH-მეტრი, ტენიანობის საზომი, სასწორი და ა.შ.) და მოხმარებად მასალებს (ნერგები, ჩითილები, სასუქები, სუბსტრატი, თესლი და სხვ.).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულება № 320702-01 (2025 წლის 08 აგვისტო, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან) ფარგლებში, „საკუთარი შემოსავლების“ დაფინანსების წყაროდან, „მებაღეობის“ საგანმანათლებლო სტანდარტისთვის საჭირო ინვენტარი შეისყიდა შ.პ.ს. „გიო კომპანიმ“ და მიღება-ჩაბარების აქტით №25 (02.02.2026 ხელშეკრულება) დადასტურდა მისი მიწოდება/მიღება პრეტენზიის გარეშე. სულ შესყიდულია 30 დასახელების საქონელი, მათ შორის: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ნიადაგის მოსამზადებლად (მოტობლოკი, სარგავი ბურღი, სატკეპნი მოწყობილობა, ლანგარი, ჯამები), შესაწამლი მანქანები (სასხურებლები, ზურგის აპარატები), დამცავი აღჭურვილობა, საბაღე ურიკები, სასწორები, საზომი ხელსაწყოები/მრიცხველები (pH-მეტრი, ტენიანობის საზომი, თერმომეტრი) , ხელის იარაღები (ფოცხი, წერაქვი, ურო, ფიწალი, ხერხი), სხვადასხვა საბაღე აღჭურვილობა (მაკრატლები, ბენზინმრავიანი ხერხი/საკრეჭი), ოპტიკური საშუალება.

აღნიშნული ნუსხა თანხვედრშია დანართ N6-ში ასახულ „ნიადაგი და მისი მომზადება“, „მცენარეთა დაცვა“, „ბაღის მოვლა“ და „ბაღის მოწყობა“ მოდულების პრაქტიკული აღჭურვილობის მოთხოვნებთან.

ვიზიტის ფარლგებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა ფაქტობრივად კოლეჯის ბალანსზე/მფლობელობაში არსებული ინვენტარის ვიზუალური დათვალიერება და დათვლა. დანართ N6-ით გათვალისწინებული დანარჩენი (გასული პერიოდის ან სხვა წყაროთი შეძენილი) რესურსის არსებობა - მაგ. კომპიუტერი/დაფა/პროექტორი თითოეულ სასწავლო გარემოში, ასევე მოხმარებადი მასალები (ნერგები, სასუქი, სუბსტრატი); შემოწმდა რესურსის მდგომარეობა და გამართულობა (განსაკუთრებით ბენზინმრავიანი ტექნიკა); გადამოწმდა რესურსის საკმარისობა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში მოხდა დაწესებულების მიერ დასაბუთებაში მითითებული სასწავლო გარემობების დათვალიერება შესწავლა (აუდიტორია N110, N104, უცხო ენის კაბინეტი, სათბური, მიწის ნაკვეთი) ფაქტობრივი არსებობის, მათი ტევადობისა და დეკლარირებულ მონაცემებთან შესაბამისობის შესწავლა ადგილზე. ვიზიტის შედეგად დადგინდა:

- AC გარემო : სასწავლო გარემო AC-ში მოიცავს 104-ე და 110-ე აუდიტორიებს, რომლებიც აღჭურვილია სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის განკუთვნილი ავეჯითა და სასწავლო დაფებით. საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობის“ განხორციელებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს მებაღეობისთვის საჭირო ინვენტარს: ბარებს, თოხებს, ხელის სხვადასხვა იარაღს და დარგისთვის საჭირო სხვა ტექნიკურ რესურსს. აღჭურვილობა არის სამუშაო/გამართულ მდგომარეობაში და შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- უცხო ენის კაბინეტი: უცხო ენის სასწავლო გარემო აღჭურვილია სტუდენტებისა და პედაგოგის ინდივიდუალური სამუშაო ადგილებით, სასწავლო დაფითა და პეროსნალური კომპიუტერით.
- C გარემო (სათბური, 0.5 ჰა მიწის ნაკვეთი): C სასწავლო გარემო მოიცავს სათბურსა და 0.5 ჰა მიწის ნაკვეთს. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ დაწესებულება ფლობს შესაბამის სასოფლო-სამეურნეო ფართს, სადაც მიმდინარეობს კულტურების მოვლა-მოყვანის პრაქტიკული სამუშაოები. სათბურის ინფრასტრუქტურა აღჭურვილია გათბობის, გაგრილებისა და სარწყავი სისტემებით, ასევე, განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობისთვის“ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და შესაბამისი ინვენტარი. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დაცულია შრომის უსაფრთხოების წესები, ხოლო სტუდენტები ინსტრუქტაჟს გადიან პრაქტიკული სამუშაოების დაწყებამდე.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობის" განხორციელებისთვის განსაზღვრულია მასწავლებელთა ისეთი რაოდენობა და ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. დანართი N3-ის მიხედვით, პროგრამის ყველა მოდულზე იდენტიფიცირებულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი, ხოლო პროგრამაში სულ ჩართულია 25 სხვადასხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი/განმახორციელებელი, აღნიშნული გარემოება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დანართში მითითებული მასწავლებელთა კვალიფიკაცია/გამოცდილება საბოლოოდ დასტურდება მათი პირადი საქმეების (დიპლომების, სერტიფიკატების, ხელშეკრულებების/წიგნაკების) უშუალო შესწავლის საფუძველზე.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დანართი N3 შეიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მასწავლებელი ახორციელებს თითოეულ მოდულს, ასევე მითითებულია მისი კვალიფიკაცია და გამოცდილება (აკადემიური ხარისხი, სამუშაო სტაჟი, სერტიფიცირების მონაცემები) რაზეც დაყრდნობითაც დაწესებულებამ დაასკვნა, რომ შესაბამის პირს გააჩნია საჭირო კომპეტენცია კონკრეტული მოდულის სწავლებისთვის.

ვიზიტისას შესწავლილი იქნა როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ისე მასწავლებელთა პირადი საქმეები, რის საფუძველზეც ჩატარდა გასაუბრებები განმახორციელებლებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან. თუმცა აღსანიშნავია, რომ ექსპერტებს ინტერვიუს საშუალება მიეცათ მხოლოდ 4 განმახორციელებელთან და ერთ-ერთი მათგანი პროგრამის ხელმძღვანელი იყო. გასაუბრება ძირითადად სტუდენტთა შეფასების საკითხებზე იყო კონცენტრირებული, ვინაიდან აქამდე კოლეჯი მებაღეობის პროგრამას დუალურ მიდგომით ახორციელებდა, სადაც პრაქტიკული სწავლის შედეგების ყველა ელემენტი საწარმოო სწავლების ფარგლებში ფასდებოდა. დაწესებულებამ გადაწყვიტა სწავლების მოდელის შეცვლა იმიტირებული მიდგომით, რაც განმახორციელებლებს დამატებით ავალდებულებს, შექმნან შეფასების ინსტრუმენტები არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული სწავლის შედეგების დასადასტურებლადაც.

მასწავლებლებთან გასაუბრების პროცესში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ გამოიკვეთა პრაქტიკული კომპონენტის შეფასების უზრუნველსაყოფად საჭირო კომპეტენცია, მათ შორის ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი პროფესიული განათლების საფეხურზე პრაქტიკული კომპონენტის შეფასების პროცესის უზრუნველყოფა. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს არ მიეწოდა დუალური მიდგომით სწავლების პერიოდში შექმნილი თეორიული კომპონენტის შეფასების ინსტრუმენტის ნიმუში გასაცნობად. ასევე, ადამიანური რესურსის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირის მხრიდან პერსონალის განვითარების გეგმა არ იქნა წარმოდგენილი, რომელიც შესაძლოა ასახავდა ორივე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განმახორციელებლებისთვის დაგეგმილ მიზნობრივ შიდა ტრენინგებს ან სამუშაო შეხვედრებს. აქედან გამომდინარე, ექსპერტები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას სრულად შეესწავლათ აღნიშნული საკითხი.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი და შესრულების ინდიკატორი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 4 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დამტკიცებულ პროგრამას ("მებაღეობა") ჰყავს ერთი პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელისთვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, დარგის განათლება და სამუშაო გამოცდილება კადრს დაკმაყოფილებული აქვს. კერძოდ, ხელმძღვანელს აქვს ბაღის დიზაინის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და კოლეჯში „მებაღეობის" პროგრამის ფარგლებში მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება (დადასტურებული დიპლომითა და 2020 წლიდან დადებული ხელშეკრულებებით). შესაბამისად, კადრი აკმაყოფილებს დარგობრივი განათლებისა და გამოცდილების მოთხოვნებს.

საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობებში შედის: პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე ზრუნვა; პროგრამის შინაარსზე ზრუნვა; პროგრამისა და მისი განმახორციელებლებისთვის საჭირო მატერიალურ და ადამიანურ რესურსზე ზრუნვა; პროგრამის ვალიდაციის პროცესში მონაწილეობა; სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად შეფასების მტკიცებულებების შეგროვება; პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან კომუნიკაცია; და ყოველკვირეულად სტუდენტთა დასწრებისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის განხილვა და სასწავლო პროცესის მენეჯერისთვის წარდგენა.

აღსანიშნავია, რომ შორენა კაპანაძეს 2020 წლიდან, ანუ დაწესებულებაში დასაქმების დასაწყისიდანვე, აქვს კოლეჯში „მებაღეობის" პროგრამის ფარგლებში მუშაობის გამოცდილება მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელობის კუთხითაც, რაც ადასტურებს მის შემდგარ და დარგობრივად რელევანტურ გამოცდილებას პროგრამის ხელმძღვანელობის ფუნქციის შესრულებაში. თუმცა, გასაუბრების პროცესში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელთან სტუდენტთა შეფასების სისტემასთან, კერძოდ პრაქტიკული კომპონენტის შეფასებასთან დაკავშირებით, საკმარისი პასუხები არ გაცემულა. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული საკითხი ინდიკატორთან შეუსაბამობად მიიჩნია, ვინაიდან კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებას წარმოადგენს ვალიდაციის პროცესებში ჩართულობა და მონაწილეობა.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი და შესრულების ინდიკატორი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 4 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ბიბლიოთეკის საქმიანობა რეგულირდება „ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესით", რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-40 (31.08.2015, ბოლო ცვლილება -N04-66, 23.03.2023). ბიბლიოთეკა განკუთვნილია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პერსონალის სარგებლობისთვის და ამისთვის აუცილებელი წინაპირობაა ბიბლიოთეკაში გაწევრიანება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით და მასში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ექსპერტების მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერების შედეგად, გამოიკვეთა , რომ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ბიბლიოთეკაში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, ასევე საოფისე მრავალფუნქციური პრინტერი. სამუშაო გარემო უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თავი V ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნასა და შშმ/სსსმ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირებას ეხება, რაც ვრცელდება კოლეჯში მოქმედ ყველა პროფესიულ პროგრამაზე, მათ შორის განსახილველ პროგრამაზეც.

წესის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში სსსმ სტუდენტისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (მუხლი 15), რომელსაც ადგენს სამუშაო ჯგუფი- სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის ჩართულობით, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის რეკომენდაციების გათვალისწინებით. გეგმა მოიცავს პროგრამის/მოდულის ადაპტირებას: სწავლის შედეგების მისაწვდომ ფორმატში წარმოდგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების მორგებას, ასევე, საჭიროებისამებრ, დამატებითი მასალების/რესურსების შემუშავებას სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე.

შესაბამისად, ეს მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ სსსმ სტუდენტს ჰქონდეს წვდომა არა მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებულ ზოგად რესურსებთან, არამედ მისი მოთხოვნილებების შესაბამისად ადაპტირებულ, ინდივიდუალიზებულ სასწავლო მასალებთანაც.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.დასტურდება (მტკიცებულებები):

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. საპროგნოზო ბიუჯეტში შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია სტუდენტთა ვაუჩერული დაფინანსებიდან და პროგრამული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი, ხოლო ხარჯების ნაწილში ასახულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი ხარჯები, მათ შორის მასწავლებელთა ხელფასი, ძირითადი საშუალებების ცვეთა, დიპლომის ბეჭდვა, სარეკლამო ხარჯი, სტუდენტების მხარდაჭერის ხარჯი და სხვა (ადმინისტრაციული, კომუნალური და სხვა) ხარჯები.

საპროგნოზო ბიუჯეტის ანალიზით დგინდება, რომ პროგრამის განხორციელებიდან მისაღები სავარაუდო შემოსავალი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების დაფარვას, რაც ადასტურებს პროგრამის ფინანსურ მდგრადობასა და განხორციელების შესაძლებლობას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.7. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მებაღეობის პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა. N04-72, 18.05.2026
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი; (მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი) N04-72, 18.05.2026
- ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი- დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-40, 31.08.2015, ბოლო ცვლილება -N 04-66, 23.03.2023).
- ადმინისტრაციულ თანამშრომელთა პოზიციის დასაკავებლად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები უფლებამოსილებები/ უფლებამოვალეობები-დამტკიცებულია 2020 წლის 30 აპრილის ბრძანებით N04-65, ბოლო ცვლილება: 2026 წლის 1 აპრილი.
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები.
- შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები.
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. დამტკიცებულია: დირექტორის ბრძანებით N04-152, 13.12.2019წ. ბოლო ცვლილება: ბრძანება N04-112, 10/07/2026წ.
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები (სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა)
- ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკარი)
- **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026**

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროგრამის განხორციელება ეყრდნობა დამტკიცებულ სასწავლო გეგმას (დანართი N1), რომელშიც გაწერილია პროგრამის ყველა მოდული: ზოგადი (უცხოური ენა, მეწარმეობა) და დარგობრივი მოდულები (გაცნობითი პრაქტიკა, ბოტანიკა, ეკოლოგია, საქართველოს ფლორა, ნიადაგი და მისი მომზადება, აგროკულტურები, მცენარეთა დაცვა, მცენარეთა გამრავლება, დეკორატიული მცენარეები, დეკორატიულ მცენარეთა სხვლა-ფორმირება, ბაღის მოვლა, ბაღის მოწყობა და სხვ.), თითოეულისთვის მითითებული კრედიტების ოდენობითა და საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობის საათების განაწილებით.

აღნიშნული შეესაბამება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მოთხოვნას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი ცხრილით, რომლის შესახებაც ინფორმაცია წინასწარ ეცნობებათ დაინტერესებულ პირებს.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ განსაზღვრავს ისეთ რეგულაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის პროფესიულ სტუდენტებზე ორიენტირებულ ორგანიზებას და საჭიროების შემთხვევაში მისი განხორციელების მოქნილობას. დოკუმენტით გათვალისწინებული მექანიზმები ხელს უწყობს სხვადასხვა საგანმანათლებლო და ინდივიდუალურ საჭიროებაზე დროულ რეაგირებას.

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ პროფესიული განათლების მასწავლებელს ანიჭებს უფლებამოსილებას, სასწავლო პროცესში გამოიყენოს შეფასების მრავალფეროვანი ფორმები (წერითი, ზეპირი, ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობები), რაც კონკრეტული სასწავლო ჯგუფის საჭიროებების შესაბამისად შეფასების პროცესის ადაპტირების შესაძლებლობას ქმნის. ამასთან, წესი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაშიც პროფესიული სტუდენტების ინტერესების დაცვას და მათი სწავლის უწყვეტობის უზრუნველყოფას. ექსპერტებს ვიზიტის ფარგლებში არ ჰქონდათ შესაძლებლობა გასაუბრებოდნენ დუალურ პროგრამაზე მსწავლელ სტუდენტებს გასაუბრებოდნენ, რადგან 2025 წლის დეკემბერში მათ დაასრულეს სწავლება.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრული მოთხოვნები უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე. აღნიშნული მოთხოვნა პირდაპირაა ასახული წესში, რომლის თანახმად, თემატურ-კალენდარული გეგმის შემუშავებისას პროგრამის განმახორციელებელი სწავლების პროცესს წარმართავს თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და შესაბამისი დარგობრივი ტექნოლოგიების გამოყენებით. აღნიშნული მიდგომა ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებასა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობაზე.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მახასიათებლები და საჭიროებები. კერძოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სწავლის შედეგების მისაწვდომ ფორმატში მიწოდება, სასწავლო გარემოსა და პირობების ადაპტირება, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი სასწავლო მასალების მომზადება. გარდა ამისა, დისტანციური სწავლების პირობებში სსსმ სტუდენტების ჩართულობასა და დავალებების შესრულებას აკონტროლებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც საჭიროებისამებრ იყენებს შეფასების მოდიფიცირებულ ინსტრუმენტებს. ამასთანავე, პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, ისარგებლოს საკონსულტაციო მომსახურებით როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლის, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერის მხრიდან ფორმალური სასწავლო პროცესის ფარგლებში თუ მის მიღმაც, დამატებითი საათების გამოყოფითა და ჯგუფური თუ ინდივიდუალური აქტივობების მეშვეობით. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სტუდენტისადმი ინდივიდუალურ მიდგომას სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, ხორციელდება ეს ფორმალურად დაგეგმილი საათების ფარგლებში თუ მათგან დამოუკიდებლად. შედეგად, სტუდენტს ყოველთვის შეუძლია დამატებითი მხარდაჭერისთვის მიმართვა, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო მასალის უფრო ღრმად გააზრებასა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტს.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კოლეჯის „შრომის უსაფრთხოების წესის" თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ – ითვალისწინებს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის კონკრეტულ მექანიზმებს, რომლებიც მორგებულია პროგრამის სპეციფიკაზე.

კერძოდ, წესის მიხედვით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სივრცისა და აღჭურვილობის შესაბამისობა უსაფრთხოების მოთხოვნებთან, ხოლო თეორიული სწავლების ეტაპზე გათვალისწინებულია შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და ვენტილაციის არსებობა. პრაქტიკული სამუშაოების დაწყებამდე გათვალისწინებულია სტუდენტთა ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით და ევაკუაციის გეგმის გაცნობა, ხოლო პრაქტიკული აქტივობებისთვის საჭირო ხელსაწყოები და მასალები უნდა შეირჩეს ისე, რომ არ შეექმნას საფრთხე სასწავლო პროცესის მონაწილეებს.

მუშაობის პროცესში წესით დადგენილია უსაფრთხო დისტანციის დაცვის, ტოქსიკური ნივთიერებებისგან თავდაცვის (შესაბამისი დამცავი საშუალებებით – ხელთათმანები, ნიღბები და სხვ.) და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მასწავლებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებები. ავარიული სიტუაციის დროისთვის განსაზღვრულია მკაფიო ქმედებების თანმიმდევრობა – პანიკის აღკვეთა, უსაფრთხო ზონისკენ მიმართვა, დაშავებულისთვის პირველადი დახმარების გაწევა და საჭიროების შემთხვევაში სათანადო სამსახურების ინფორმირება.

პრაქტიკული სამუშაოს დასრულების შემდეგ წესით გათვალისწინებულია გამოყენებული ხელსაწყოებისა და მასალების შეგროვება, დათვალიერება, დაზიანების შემთხვევაში მასწავლებლისთვის შეტყობინება და სამუშაო ადგილის სათანადო წესრიგში მოყვანა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი (დანართი 1: სასწავლო გეგმა N04-72, 18.05.2026
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. დამტკიცებულია: დირექტორის ბრძანებით N04-152, 13.12.2019წ. ბოლო ცვლილება: ბრძანება N04-112, 10/07/2026წ.
- შრომის უსაფრთხოების ნორმები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: მებაღეობის პროგრამისთვის ბრძანება N04-110, 06.07.2026წ.
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან.
- **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში გამოსაყენებელი შეფასების სისტემა და ინსტრუმენტები უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის მოთხოვნებს. თითოეული ამ პრინციპის შინაარსი და მისი პრაქტიკული უზრუნველყოფა შემდეგნაირად გამოიყურება:

- ვალიდურობა: ინსტრუმენტი ითვლება ვალიდურად, თუ იგი შესაბამისობაშია შესაფასებელ სწავლის შედეგთან და შესაძლებელს ხდის ამ შედეგის ყველა კრიტერიუმის მიხედვით შემოწმებას. ეს პრინციპი პრაქტიკაში ხორციელდება დადგენილი ვალიდაციის მექანიზმის მეშვეობით - შეფასებამდე სულ მცირე ორი კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი ამზადებს და წარადგენს ინსტრუმენტს სასწავლო პროცესის მენეჯერთან, რომელიც მას განიხილავს პროგრამის ხელმძღვანელთან ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად. ამასთან, მენეჯერი აფასებს ტექნიკურ ასპექტებს, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი შინაარსობრივ შესაბამისობას დეკლარირებულ სწავლის შედეგთან. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ინსტრუმენტი უბრუნდება ავტორს დასახვეწად, ხოლო ვალიდაციის გავლის გარეშე ინსტრუმენტის გამოყენება შეფასების დროს დაუშვებელია.
- სანდოობა: შეფასების შედეგები უნდა ეყრდნობოდეს შესაბამის მტკიცებულებებს, რაც კოლეჯში მიიღწევა შეფასების პროცესის სათანადო დოკუმენტირებითა და შედეგების შენახვით.
- გამჭვირვალობა: შეფასების პროცედურები, პირობები, მოთხოვნები და სხვა აუცილებელი ინფორმაცია წინასწარ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა შესაფასებელი პირისთვის.
- სამართლიანობა: შეფასების პროცესი ეყრდნობა ისეთ ორგანიზებას, რომელიც ყველა შესაფასებელ პირს უზრუნველყოფს თანაბარი პირობებით იდენტური თარიღი, გარემო, მასალა, აღჭურვილობა და სხვა შესაბამისი ფაქტორები.
- ობიექტურობა: გულისხმობს, რომ ერთნაირი შედეგის მქონე ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირად ფასდება, ანუ შეფასების შედეგი დამოუკიდებელია შემფასებლის სუბიექტური მოსაზრებისგან. ეს მიიღწევა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა ამისა, სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს განმეორებითი შეფასების შესაძლებლობასაც: თუკი სტუდენტმა ვერ შეძლო სწავლის შედეგის დადასტურება ან არ გამოცხადდა შეფასების პროცესზე, მას ეძლევა ერთჯერადი განმეორებითი შეფასების უფლება. თუ შესაბამისი მოდული სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს, ეს ვადა შემოიფარგლება 7 კალენდარული დღით, სხვა შემთხვევებში კი პროგრამის დასრულებამდე. ამისთვის სტუდენტმა უნდა წარადგინოს განცხადება დირექტორის სახელზე, ხოლო შეფასების მასალის მომზადებაზე პასუხისმგებელია პროფესიული განათლების მასწავლებელი (საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული ცვლილებებით).

მიუხედავად იმისა, რომ ინდიკატორის მოთხოვნა კოლეჯის შიდა რეგულაციებით არის განსაზღვრული, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუს ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაცია არ იყო საკმარისი კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის რეალურ პრაქტიკაში გამოყენების შესასწავლად. კერძოდ, შეფასების სისტემის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ გამოიკვეთა შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა შეფასების პროცესში შეფასების 5 პრინციპის დაცვას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების განმარტებით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი კოლეჯში ახლად დასაქმებული. ამ შემთხვევაშიც ძირითად საკითხად გამოიკვეთა პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიჩნეულ იქნა ხარვეზად, ვინაიდან კოლეჯმა შეცვალა პროგრამის განხორციელების მიდგომა და „მეგზაღეობის" პროგრამისთვის შერჩეულია იმიტირებული სწავლების ფორმა, რაც კოლეჯს ავალდებულებს სტუდენტთა პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების შეფასების უზრუნველყოფას ისე, რომ დაცული იყოს შეფასების ვალიდობის, სანდოობის, ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპები.

ასევე, ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ გამოიკვეთა წინარე გამოცდილება ვალიდაციის ნაწილში (დუალური სწავლების პერიოდის ვალიდაციის დამადასტურებელი). კერძოდ, არ იქნა წარმოდგენილი შემუშავებული ინსტრუმენტები (თეორიული კომპონენტისთვის) და მათი ვალიდაციის განმახორციელებელი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი იყო მხოლოდ ე.წ. ჩეკ-ლისტის ტიპის დოკუმენტი, სადაც კრიტერიუმების გასწვრივ მონიშნულია დადებითი პასუხი, თუმცა არ იკვეთება, კონკრეტულად რომელ ინსტრუმენტთან არის დაკავშირებული. ასევე, დოკუმენტში არ ფიგურირებს მონაწილეთა სახელები და გვარები მითითებულია მხოლოდ ხელმოწერები, რომელთა იდენტიფიცირებაც შეუძლებელია, რის გამოც ვერ დგინდება, ვინ იყო ჩართული ვალიდაციის პროცესში და რამდენად იყო დაცული ინტერესთა კონფლიქტისგან თავისუფლების პრინციპი.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026 წ. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსი და შესრულების ინდიკატორი. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 4 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი". ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

მოქმედი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მკაფიოდ რეგლამენტირებულ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენას. კერძოდ:

- ვერიფიკაციის მიმართულებები: შიდა ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია
- პრინციპები: ვერიფიკაცია ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რომელთა კრიტერიუმებიც დეტალურადაა განსაზღვრული
- ვერიფიკაციის ჯგუფი: იქმნება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით; მასში შესაძლოა შევიდნენ დარგის ექსპერტი, პროფესიული მასწავლებელი, მოწვეული პირი, სამინისტროს მიერ შექმნილი გუნდის წარმომადგენელი და სხვა კომპეტენტური პირები, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის პრინციპის დაცვით
- რისკზე დაფუძნებული მიდგომა: ვერიფიკაციისთვის გამოიყენება წინასწარ განსაზღვრული რისკ-ფაქტორები (მაგ. დამწყები მასწავლებელი, დაბალი შეფასების მაჩვენებლები, სტუდენტების/მასწავლებელთა კითხვარები და სხვ.), რომლებიც ფასდება კოეფიციენტების (1-4 ქულა) მიხედვით.
- დასკვნა და რეაგირება: ვერიფიკაციის ჯგუფი ავსებს სტანდარტიზებულ ვერიფიკაციის დასკვნის ფორმას (დანართი 1), დგინდება პრობლემური საკითხები, დგება სამოქმედო გეგმა კონკრეტული ვადებით, ინდიკატორებითა და საჭირო რესურსებით, ხდება მისი მონიტორინგი და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა .

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს, რამდენად შეესაბამებოდა კოლეჯში დამტკიცებული და მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმი რეალურად მიმდინარე პროცესებს. ხარისხის მენეჯერთან ჩატარებული ინტერვიუსა და წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ გამოიკვეთა ვერიფიკაციის გეგმის არსებობა, ასევე არ გამოიკვეთა, რა კრიტერიუმებით ხორციელდება მოდულის ან ინსტრუმენტის შერჩევა ვერიფიკაციისთვის და როგორია ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების პრაქტიკა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა ამ ნაწილში ხარვეზი დააფიქსირა.

ამასთანავე, ვიზიტისა და გასაუბრების პროცესში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ დადასტურდა უშუალოდ „მებაღეობის" პროგრამის ფარგლებში წინა წლებში განხორციელებული ვერიფიკაციის მტკიცებულებების არსებობა, რომელთა შესწავლაც შესაძლებელს გახდიდა დეტალურად დადგენილიყო ხარვეზის წარმოშობის მიზეზი. დაწესებულების განმარტებით, აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა მათ არ გააჩნიათ. ამის ნაცვლად წარმოდგენილი იყო სხვა პროგრამის ნიმუში, რაც არ ადასტურებს კონკრეტულად შესაფასებელი პროგრამის ფარგლებში, მათ შორის დუალური სწავლების პერიოდში, ვერიფიკაციის განხორციელების ფაქტს. ამასთან, გასაუბრების ეტაპზე დაწესებულების მხრიდან აღინიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებელი პირი კოლეჯში ახლად დასაქმებული თანამშრომელია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (N1051185, 14.08.2026), რომელშიც განმარტავს, რომ კოლეჯში მოქმედი წესის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ შესაბამისად, ვერიფიკაციის პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ხარისხის მართვის მენეჯერი. ამასთან, დაწესებულება მიუთითებს, რომ ხარისხის მართვის მოქმედი მენეჯერი აღნიშნულ თანამდებობას 2026 წლის 1 აპრილიდან იკავებს და აღნიშნულ გარემოებას უკავშირებს კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების განვითარების ეტაპობრივ ხასიათს, ასევე ადამიანური და ორგანიზაციული რესურსების დატვირთვას, რაც პროფესიული განათლების მიმართულებით მიმდინარე რეფორმისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები ადგილების ზრდის პირობებში წარმოიშვა.

დაწესებულება ასევე აღნიშნავს, რომ იზიარებს ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებულ შენიშვნას და აღნიშნულ პროცესს განახორციელებს კოლეჯის წესის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ შესაბამისად, რაც ასახულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026, და შეაფასა მათი რელევანტურობა ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილ ხარვეზთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ თანამდებობის 2026 წლის 1 აპრილიდან დაკავების შესახებ. ამასთან, აღნიშნული გარემოება თავისთავად ვერ ადასტურებს ვერიფიკაციის პროცესის მოქმედი მექანიზმის შესაბამისად განხორციელებას და ვერ ცვლის ვიზიტის დროს მოპოვებულ მტკიცებულებებს.

კერძოდ, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ კოლეჯში მოქმედი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ განსაზღვრული ვერიფიკაციის პროცესი პრაქტიკაში ხორციელდება. აღნიშნულთან ერთად, ინტერვიუს დროს ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელმა ხარისხის მართვის მენეჯერმა ვერ წარმოადგინა საკმარისი ინფორმაცია ვერიფიკაციის პროცესის არსის, კოლეჯში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმით განსაზღვრული პროცედურებისა და შესაბამისი პროცესების შესახებ. ასევე, ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო ინფორმაცია ვერიფიკაციის გეგმასა და რისკების მართვის/შეფასების სისტემასთან დაკავშირებით.

აღნიშნული გარემოებები ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ერთობლიობაში და მიიჩნია, რომ ვიზიტის დროს მოპოვებული მტკიცებულებები ვერ ადასტურებდა ინდიკატორის მოთხოვნების შესრულებას. ამასთან, დაწესებულების მიერ ხარისხის მართვის მენეჯერის ახალი დასაქმების ფაქტისა და ადამიანური რესურსის დატვირთვის შესახებ წარმოდგენილი განმარტებები ვერ ჩაითვლება იმ მტკიცებულებად, რომელიც დაადასტურებდა შესაბამისი პროცესების პრაქტიკაში განხორციელებას.

დაწესებულების მიერ წარმოგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ხარვეზის აღმოფხვრის აქტივობად განსაზღვრულია მხოლოდ: „ვერიფიკაციის განსახორციელებლად საჭირო ეტაპები - კოლეჯში მოქმედი წესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად“.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული ჩანაწერი ვერ უზრუნველყოფს გამოვლენილი ხარვეზის გამომწვევი გარემოებებისა და კონკრეტული საჭიროებების სათანადო გათვალისწინებას. კერძოდ, აღნიშნული აქტივობა არსებითად გულისხმობს კოლეჯის მიერ უკვე განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისად მოქმედებას და არ ასახავს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებითაც შესაძლებელი გახდება ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირის მიერ შესაბამისი მექანიზმის პრაქტიკაში ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ვიზიტის დროს ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირის მიერ ვერ იქნა სათანადოდ წარმოდგენილი ინფორმაცია აღნიშნული პროცესის არსის, მოქმედი მექანიზმების, ვერიფიკაციის გეგმისა და რისკების სისტემის შესახებ, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში კარგი იქნებოდა კონკრეტული მხარდამჭერი და განმავითარებელი ღონისძიებების განსაზღვრა. მაგალითად, პასუხისმგებელი პირისთვის კონსულტაციების, სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების ან სხვა შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობდა ვერიფიკაციის მექანიზმით განსაზღვრული პროცესების სათანადოდ გააზრებასა და პრაქტიკაში განხორციელებას.

ამასთან, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სასურველი იყო ასახულიყო არა მხოლოდ განსახორციელებელი პროცესის ზოგადი მითითება, არამედ კონკრეტული აქტივობები, მათი განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები და მოსალოდნელი შედეგები/დადასტურების მექანიზმები, რაც შესაძლებელს გახდიდა ხარვეზის აღმოფხვრის პროგრესისა და საბოლოო შედეგის შეფასებას.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული აქტივობა ვერ უზრუნველყოფს ვიზიტის დროს გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრისათვის საკმარისი და კონკრეტული ღონისძიებების იდენტიფიცირებას. აღნიშნულის საფუძველზე, წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისი აქტივობა მიჩნეულ იქნა არასაკმარისად ინდიკატორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თანახმად, შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ. ეს მოთხოვნა ვრცელდება როგორც სასწავლო შედეგების დამადასტურებელ ელექტრონულ და მატერიალურ ჟურნალის ჩანაწერებზე, ისე კოლეჯის მიერ წარმოებულ ნებისმიერ სხვა დამატებით დოკუმენტაციაზე, რომელიც შეფასების პროცესის მტკიცებულებას წარმოადგენს.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თანახმად, შეფასების შედეგები უშუალო კავშირშია სტუდენტის შემდგომი განვითარების დაგეგმვასთან. სტუდენტის გადასვლა ერთი მოდულიდან მეორეზე შესაძლებელია მხოლოდ დადასტურებული სწავლის შედეგის არსებობის შემთხვევაში, რაც პირდაპირ განაპირობებს მის აკადემიურ ტრაექტორიას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ან სტატუსშეცვლილი სტუდენტისთვის ეს პრინციპი აისახება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, სადაც სწორედ მიღწეული ან მიუღწეველი შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოადგენს გეგმის საფუძველს. ამასთანავე, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უნარჩუნდება განმეორებითი შეფასების უფლება, რაც სტუდენტზე ორიენტირებული და შეფასების შედეგზე დაფუძნებული დამატებითი განვითარების შესაძლებლობაა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. დამტკიცებულია: დირექტორის ბრძანებით N04-152, 13.12.2019წ. ბოლო ცვლილება: ბრძანება N04-112, 10/07/2026წ.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ბოლო ცვლილება დამტკიცებულია 09.03.2022 ბრძ:N04-45
- ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან.
- **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით N04-139, 14.08.2026.**

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისთვის მებაღეობის დუალური პროგრამის სწავლება უკვე დასრულებული იყო, კერძოდ საგამოცდო პერიოდი დასრულდა 2025 წლის დეკემბერში.

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი:18 .08.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: